ნინო ფეტვიაშვილი
რუსული ენის ექსპერტ-კონსულტანტი
სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი“

მასტერკლასი რუსულ ენაში

მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის ერთ-ერთი ამოცანა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სტიმულირებაა.
პროფესიული განვითარებისაკენ მიმართული აქტივობები განსაკუთრებით ეფექტიანია მაშინ, როცა ისინი ეფუძნება მასწავლებელთა კონკრეტულ პროფესიულ და საგნობრივ საჭიროებებს მოცემულ მომენტში.
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ჩაატარა კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სერვისების დაგეგმვის ხელშეწყობა/მხარდაჭერა მათივე საჭიროებებზე (როგორც საგნობრივი, ასევე პროფესიული) დაყრდნობით.
კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა პედაგოგთა სხვადასხვა საჭიროება, რომელთა გათვალისწინებით გთავაზობთ მასტერკლასს რუსულის, როგორც უცხოური ენის, მასწავლებლებისათვის.

მასტერკლასის შედეგად:

- მონაწილეები გაეცნობიან და პრაქტიკულად განახორციელებენ აქტიური სწავლების მეთოდებს და მათთვის პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით მიიღებენ რეკომენდაციებს.
- მონაწილეები გააანალიზებენ აქტივობებს ორი პოზიციიდან - მოსწავლეების და მასწავლებლების.
- იმსჯელებენ აქტივობების აქტუალობაზე, შესაძლო რისკებზე და მათი თავიდან აცილების გზებზე